თინათინ ქაროსანიძე
გიორგი ნარიმანიშვილი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
t.karosanidze@freeuni.edu.ge
g.narimanishvili@freeuni.edu.ge

"ისლამური სახალიფოს" კონცეფცია მოციქულ მუჰამადიდან ე.წ. "ისლამურ სახელმწიფომდე"

რეზიუმე

ისლამური სახალიფოს კონცეფცია ისლამის წარმოშობასთან და მოციქულის მოღვაწეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. მოციქულის გარდაცვალების შემდეგ მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება ისლამის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. მოციქულის მემკვიდრე-ნაცვლის ანუ ხალიფას ინსტიტუტის ლეგიტიმაცია დებატების და პოლიტიკური დაპირისპირების საგანი გახდა, რამაც ისლამში სუნიზმი და შიიზმი წარმოშვა.

საუკუნეების განმავლობაში ისლამური სახალიფოს, როგორც ისლამზე დაფუძნებული სახელმწიფო ინსტიტუტის, ფორმა იცვლებოდა, თუმცა გარდამტეხი აღმოჩნდა 1924 წელი, როდესაც ქემალისტების კონფერენციაზე ოსმალეთის იმპერიის დაშლის და თურქეთის რესპუბლიკად ჩამოყალიბების შესახებ გამოცხადდა. ამ კონფერენციას მუსლიმი ფუნდამენტალისტები დიდი შეშფოთებით შეხვდნენ, რადგან, მათი აზრით, ისლამური სახალიფოს ისტორია ხალიფას ინსტიტუტის გაუქმებით დასრულდა.

თანამედროვე პერიოდში ისლამური სახალიფოს იდეა რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების ლიდერებმა აიტაცეს და საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის ხშირად იყენებენ.

სტატიაში განხილულია ისლამური სახალიფოს კონცეფციის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორია. კლასიკური ისლამური სახალიფოსგან განსხვავებით, ისლამისტი რადიკალების სახალიფოს ინსტიტუცია საიდ კუტბისეულ სახელმწიფოებრიობას დაეფუძნა, რაც კლასიკური კონცეფციისგან განსხვავდება. სწორედ ამ მსგავსებების და განსხვავებების ანალიზია წარმოდგენილი სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: ისლამური სახალიფო, ე.წ. "ისლამური სახელმწიფო", საიდ კუტბი, ხალიფა, ჯიჰადი.

თანამედროვე მსოფლიოში ისლამურმა რადიკალიზმმა ფეხი ფართოდ მოიკიდა და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის როგორც მშვიდობიან მოსახლეობას, ასევე დემოკრატიულ ფასეულობებს და სახელმწიფო ინსტიტუტებს. ისლამურმა რადიკალიზმმა ცივი ომის შემდეგ განსაკუთრებით იჩინა თავი და პოლიტიკურად არასტაბილურ რეგიონებში, სადაც მოსახლეობა მძიმე სოციალურ თუ ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობდა, სწრაფად გავრცელდა. რადიკალური დაჯგუფებების ლიდერები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ისლამურმა საზოგადოებამ მოციქულის გზას გადაუხვია და აცდა განვითარების ჭეშმარიტ კურსს. თანასწორობაზე დაფუძნებული იდეალური ისლამური საზოგადოების ნაცვლად, ისლამურ სახელმწიფოებში სათავეში კორუმპირებული ამორალური ელიტები მოექცა, რის გამოც უთანასწორობა და

უკანონობა გავრცელდა. ამ პროცესებში კი რადიკალი ისლამისტები დასავლელ კოლონიზატორებსა და სიონისტებს ბრალს სდებდნენ.

რადიკალური ისლამური ორგანიზაციების ლიდერები ისტორიულ ნარატივებს აქტიურად იყენებენ და თანამედროვეობასა და შუა საუკუნეების მოვლენებს შორის პარალელებს ავლებენ. ასეთი პარალელები მოსახლეობაში ანტიდასავლური გრძნობების გასაღვივებლადაა მიმართული. ამის ნათელი მაგალითია 1998 წელს ალ-კაიდას ლიდერის უსამა ბინ ლადენის მიერ გამოცემული ფათვა[1] „ჯვაროსანთა და იუდეველთა წინააღმდეგ ჯიჰადის მსოფლიო ისლამური ფრონტის“ შექმნის შესახებ (Lewis 1998). აღსანიშნავია, რომ იგი ფათვაში ქრისტიანებს/დასავლეთს ჯვაროსნებად მოიხსენიებს, რითიც მუსლიმებს ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსნების ლაშქრობების შესახებ ახსენებს.

ჯვაროსნებთან გაიგივება მხოლოდ უსამა ბინ ლადენს არ უკავშირდება. აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტების შემდეგ ტერორიზმის წინააღმდეგ ომს და ერაყში შესვლას ჯვაროსნულ ლაშქრობას უწოდებდა (The White House, 2001).

აღსანიშნავია, რომ იდეალური ისლამური სახელმწიფო ისეთ სისტემაზეა დაფუძნებული, რომლის ლეგიტიმურობა ღვთისგანაა ბოძებული და ხალიფა, როგორც ხელისუფალი, ვალდებულია, უზრუნველყოს ისლამის ფასეულობების დაცვა და ყველა მუსლიმს ისლამის წმინდა წესების დაცვით ცხოვრების საშუალება მისცეს. აქედან გამომდინარე, ხალიფას ინსტიტუტის გაუქმებით, რომელიც 1924 წელს კონფერენციაზე თურქეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა, მუსლიმურ საზოგადოებაში ღვთის კანონებით დადგენილი სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურა მოიშალა (Ali 2019). მუსლიმი ფუნდამენტალისტები თვლიან, რომ მუსლიმები მაშინ იყვნენ ძლიერები, როდესაც ისლამის რწმენა ქონდათ. რწმენა რომ დაკარგეს, მუსლიმები მაშინ დასუსტდნენ. ამიტომაც თუ დაუბრუნდებიან ჭეშმარიტ რწმენას ანუ ისლამის ფესვებს, მაშინ ძალაუფლების დაბრუნებას შეძლებენ. ამ მიზნის ერთადერთ წარმატებულ გზად კი ჯიჰადს მიიჩნევენ.

ქემალისტების კონფერენციის პასუხად, 1926 წელს კაიროში „სახალიფოს კონფერენცია“ ჩატარდა, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 38 დელეგატი ესწრებოდა. კონფერენციაზე, რომელსაც ალ-აზჰარის შეიხი ხელმძღვანელობდა, მონაწილეებმა განიხილეს სახალიფოს არსი, ისლამში მისი არსებობის აუცილებლობა, ხალიფას არჩევის პრინციპი და სახალიფოს აღდგენის შესაძლებლობა (Sekaly 1926, 133-134).

გლობალური ჯიჰადის[2] იდეა XX საუკუნის მეორე ნახევარში პოპულარული გახდა. უსამა ბინ ლადენმა ეს იდეა საკუთარ ბრძოლას პირდაპირ დაუკავშირა, როდესაც გლობალური ჯიჰადის ქსელი შექმნა და ყველა მუსლიმს ბრძოლისკენ მოუწოდა. „ნებისმიერ ქვეყნაში ნებისმიერი ამერიკელის - სამოქალაქოს თუ სამხედროს - მოკვლა თითოეული მუსლიმის ვალდებულებაა ალ-აკსას მეჩეთის (იერუსალიმი) და წმინდა მეჩეთის (მექაში) გათავისუფლებისთვის და მათი ჯარების ისლამის მიწიდან განდევნისთვის“ (Tierney 2016).

ჯიჰადის იდეა ასევე ეგვიპტელი მოაზროვნის საიდ კუტბის[3] იდეოლოგიას ეფუძნება, რომლისთვისაც ჯიჰადი ისლამის ძირითადი მახასიათებელი ნიშანია, რაც ყურანშია მოცემული.

---

[1] ისლამური წესების მიხედვით, ფათვის ანუ რელიგიური განკარგულების გამოცემის უფლება აქვს მხოლოდ სასულიერო პირს ანუ მუფთს ან იმ მუსლიმს, ვინც თეოლოგიური განათლება მიიღო. უსამა ბინ ლადენი არც მუფთი იყო და არც რელიგიური განათლებია მიუღია, შესაბამისად მის მერ გამოცემული ფათვა უკანონოა.

[2] გლობალური ჯიჰადის კონცეფცია XX საუკუნის დასაწყისში ეგრაული წარმოშობის ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა და დიპლომატმა მაქს ფონ ოპენჰაიმმა შეიმუშავა, რომელიც გერმანიის მთავრობას მოუწოდებდა, გლობალური ჯიჰადის იდეით ახლო აღმოსავლეთის და ჩრდ.აფრიკის მუსლიმი მოსახლეობა წაექეზებინა ბრიტანელი და ფრანგი კოლონიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა ამ კონცეფციამ ვერ იმუშავა (Gossman 2013, 47-80).

[3] საიდ კუტბი (1906-1966) - ეგვიპტელი მოაზროვნე და მწერალი, ისლამისტი მეცნიერი, „მუსლიმი ძმების“ ორგანიზაციის ლიდერი. კუტბის ნაშრომებს შორის აღსანიშნავია ყურანის კომენტარები „ყურანის ჩრდილქვეშ“ და „მიჯნები გზაზე“.

გლობალური ჯიჰადის კონცეფციის განვითარების სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო 2014 წელს და ის ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს დაუკავშირდა. ეს დაჯგუფება ყველა მუსლიმს შარიათზე დაფუძნებულ სახელმწიფოში ცხოვრებას სთავაზობდა, რომელსაც *უმმას* მიერ არჩეული ხალიფა მართავდა. მუსლიმებს იდეალურ ისლამურ სახელმწიფოში ოჯახებით გადასახლებას სთავაზობდნენ, რომელიც მათ ცოდნას ახალი სახელმწიფო ინსტიტუციების მშენებლობისთვის გამოიყენებდა. ასევე, ე.წ. "ისლამური სახელმწიფოს" რიგებში მებრძოლებს ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის ანაზღაურებასაც სთავაზობდნენ.

ისლამური სახალიფოს კონცეფციის ანალიზისთვის სტატიაში განხილულია სახალიფოს კლასიკური კონცეფცია და მისი განვითარების ეტაპები ისლამის ისტორიის განმავლობაში.

ისლამური სახალიფოს კლასიკური კონცეფცია

მოციქული მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ მის მიმდევრებში მემკვიდრის საკითხმა დავა წარმოშვა. კითხვები გაჩნდა: როგორი უნდა ყოფილიყო მოციქულის შემდგომ მუსლიმთა ცხოვრება? როგორ უნდა ემართათ მექა და მედინა? მოციქულს არ დაუტოვებია განკარგულება ან კანონი თუ ვინ უნდა ყოფილიყო მისი შემცვლელი ან როგორ უნდა ემართათ *უმმა* - მუსლიმური თემი.

ისლამური სახალიფოს მართვის ჩანასახები მოციქულმა მუჰამადმა მედინელებს დაუტოვა, რაც მედინის კონსტიტუციაში აისახა. მედინის კონსტიტუცია მოციქულ მუჰამადს შუამავლად მოიხსენიებს, რომელსაც მედინაში მცხოვრები მოსახლეობის დავების გადაწყვეტამორიგება ევალებოდა. დოკუმენტში ქალაქის მართვის სისტემა ან კანონმდებლობა არ არის ასახული. მოციქულის გარდაცვალების შემდეგ მისმა მიმდევრებმა შეიმუშავეს ხალიფას ანუ მოციქულის ნაცვლის ინსტიტუტი. 632-661 წლებში ისლამის ისტორიაში ჩამოყალიბდა სახალიფოს, როგორც ისლამური სახელმწიფოს ინსტიტუცია, რომლის კანონმდებლობა ყურანს დაეფუძნა.

რაც შეეხება ხალიფას, როგორც ისლამური სახელმწიფოს მმართველს, ტერმინი პირველად ჩნდება მოციქულის პერიოდში. მოციქული სამხედრო ექსპედიციის გამო მედინას როდესაც ტოვებდა, მის ნაცვალს ანუ ხალიფას დროებით მმართველად ტოვებდა. აღსანიშნავია, რომ იმ ხალიფებიდან, რომლებსაც მოციქული ქალაქის მმართველობას დროებით აბარებდა, მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ ისლამის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშიათ. მართლმორწმუნე ხალიფებს შორის მხოლოდ მესამე ხალიფა უსმან იბნ 'აფფანი იყო ის, ვისაც მოციქული ასე ნიშნავდა მის ნაცვლად (Cook, 2015, 3; Kennedy 2016, 1-2). შესაძლებელია, რომ მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ მისი ნაცვლის ანუ ხალიფას დანიშვნა ამიტომაც იყო ბუნებრივი მუსლიმი თემისთვის, რომ უკვე იცნობდნენ მედინაში ამ ინსტიტუტს. რთულია იმაზე მსჯელობა, მოციქულის გარდაცვალების შემდეგ რა მოვლენები უსწრებდა წინ ხალიფას არჩევას, მაგრამ რაც დანამდვილებით შეიძლება დადასტურდეს, არის ის ფაქტი, რომ ხალიფა შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ ყურაიშიტების ტომის წარმომადგენელი.[4]

ასევე საინტერესოა ხალიფების სრული ტიტული: ზოგიერთი მოსაზრებით (ქროუნი და ჰინდსი), მათ *„ხალიფათუ ლ-ლაჰ ფი არდიჰი"* - ღმერთის ხალიფა დედამიწაზე ეწოდებოდა, რაც ხალიფების ნახევრად საღმრთო სტატუსზე მიანიშნებდა (Crone 2005, 18). სხვა მოსაზრებით, ამ ტიტულში ხშირად გამოტოვებულია მოციქული და სრულად აღნიშნავს *„ხალიფათუ რასულ ალ-ლაჰ"* - ღმერთის მოციქულის ნაცვალი" (Kennedy 2016, 25). პირველ ხალიფებს ასევე ეწოდებოდათ *„ამირ ალ-მუ'მინინ"* ანუ მართლმორწმუნეთა მბრძანებელი. ამირას ტიტული მოგვიანებით სამხედრო ლიდერებსაც ეწოდებოდათ და დღეს თანამედროვე მმართველებიც ატარებენ ამირას ტიტულს (მაგ., ქუვეითს და კატარს ამირები მართავენ) (Levy 2010, 56).

[4] ეს მიდგომა სუნიტებისთვის და შიიტებისთვის მისაღები იყო, თუმცა მოგვიანებით ამ დოქტრინას ხარიჯიტები დაუპირისპირდნენ.

ხალიფას ინსტიტუტს დროთა განმავლობაში სხვა ინსტიტუციებიც დაემატა. ხალიფა უმარის ინიციატივით, მრჩეველთა საბჭო ანუ შურა ჩამოყალიბდა, რომელსაც შემდგომი ხალიფა უნდა აერჩია. უმარის მიერ შექმნილ შურაში ექვსი ადამიანი შედიოდა და ყველა ყურაიშიტების ტომიდან იყვნენ. შურას ჩამოყალიბებაში მედინელ ანსარებს მონაწილეობა არ მიუღიათ. აღსანიშნავია, რომ შურას ჩამოყალიბება გარკვეულ ლეგიტიმაციას აძლევდა ხალიფას არჩევის პროცესს, თუმცა მისი ფართო მნიშვნელობა მრავალი ინტერპრეტაციის საშუალებასაც იძლეოდა. ტერმინი გულისხმობს რჩევას (არაბ. შაავარა - ურჩია) და არ უკავშირდება არჩევნებს. არასოდეს დადგენილა, რამდენი ადამიანი უნდა შედიოდეს შურაში ან როგორ უნდა ყოფილიყო შურას არჩევის წესი, თუმცა ისლამის ისტორიაში შურას მიმართავდნენ პროცესის უფრო ღიაობის წარმოსაჩენად. შიიტებისთვის ხალიფას არჩევა საერთოდ მიუღებელი იყო, რადგან ამით, მათი აზრით, ღმერთის ნებას უპირისპირდებოდნენ.

ხალიფას ინსტიტუტმა ომაელთა მმართველობის პერიოდში გარკვეული ცვლილებები განიცადა. განსაკუთრებით, აბდ ალ-მალიქის დროს, რომელიც მეფედ იწოდებოდა. აბდ ალ-მალიქმა ავტოკრატიული ვერტიკალური სახალიფოს სისტემა შექმნა, რომელსაც დღესაც იყენებს ზოგი ისლამური სახელმწიფო. მან სისტემურად გამართა გადასახადების სისტემა და ხელფასები დაუნიშნა სამხედრო მოსამსახურეებს და პროვინციების გამგებლებს. ხალიფასთან არსებულ კაბინეტში მავალები შეიყვანა მისი მარჯვენა ხელის ჰაჯჯაჯის მეთაურობით. კენედი მიუთითებს, რომ მავალებს შორის ის ბერძნებიც იყვნენ, ვისაც სავარაუდოდ სახელმწიფოს მოწყობის ბიზანტიური გამოცდილება ქონდათ, თუმცა აბდ ალ-მალიქის სტრუქტურა მკაცრად ისლამური იყო (Kennedy 2016, 42).

აბასელთა სახალიფოში ხალიფებს ლაკაბებით უფრო მოიხსენებდნენ, ვიდრე საკუთარ სახელებით. მაგ., ხალიფა ალ-მანსური ცნობილია მისი ლაკაბით, რაც გამარჯვებულს ნიშნავს ვიდრე მისი სახელით: აბდ ალ-ლაჰ. ასეთი ტენდენცია შემდგომ სხვა დინასტიებმაც განაგრძო ისლამის ისტორიაში.

ისლამური სახალიფოს კონცეფცია და ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“

სახალიფოს კონცეფცია, რომელიც რადიკალურმა ისლამისტურმა დაჯგუფებებმა აიტაცეს და თითქმის ყველა ორგანიზაციის პროგრამაში ჩაიდო, რამდენიმე მუსლიმ მოაზროვნეს უკავშირდება. მათ შორის გამორჩეულია ეგვიპტელი საიდ კუტბი.

საიდ კუტბმა განავითარა „მუსლიმი ძმების“ დამაარსებლის ჰასან ალ-ბანას შეხედულებები სახელმწიფო მოწყობის შესახებ, რომელიც დაჯგუფების წევრებს მოუწოდებდა ჯიჰადის მეშვეობით ისლამური სახელმწიფოს შექმნისკენ. საიდ კუტბისთვის ჯიჰადი ყველა მუსლიმის ვალდებულება და ისლამის ძირითადი მახასიათებელი ნიშანია. ის თავს ესხმოდა იმ ხალხს, ვინც ჯიჰადს „თავდაცვით ბრძოლას“ უწოდებდა და მათ შეცდომაში შეყვანილებად თვლიდა.

სახალიფოს აღდგენის იდეას ემხრობოდა ჰასან ალ-ბანაც და საიდ კუტბიც. 1938 წელს ალ-ბანა აცხადებდა: „ძმობას სჯერა, რომ სახალიფო მუსლიმური ერთიანობის სიმბოლოა და მუსლიმ ხალხებს შორის კავშირს წარმოადგენს. სახალიფო რელიგიური ოფისია, რომელსაც ყველა მუსლიმმა სათანადო ყურადღება და მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს… მუსლიმი ძმები უმთავრეს პრიორიტეტს სახალიფოს აღდგენას ანიჭებენ“ (Sekaly 1926, 161; Bunzel, 8; Cole 2015, 7).

2014 წლის 28 ივნისს, ე.წ. “ისლამური სახელმწიფო”ს ოფიციალურმა პრეს-სპიკერმა აბუ მუჰამად ალ-ადნანიმ გამოაცხადა ისლამურ სახალიფოს ჩამოყალიბების შესახებ და ყველა მუსლიმს მოუწოდა, ახალი ხალიფას, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის წინაშე ერთგულების ფიცი დაედოთ (Zelin 2014; Cole 2015, 31-35; Orton 2014). ერთ-ერთი უმთავრესი პოსტულატი, რაც ალ-ადნანიმ საკუთარ გამოსვლაში აღნიშნა, იყო მანამდე არსებული ყველა საზღვრის, სახელმწიფოს, დაჯგუფებისა და ორგანიზაციის არალეგიტიმურად გამოცხადება და დედამიწაზე ერთადერთ ჭეშმარიტ მმართველად ხალიფას დასახელება. სწორედ აღნიშნული კონცეფცია

გახდა ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი ბირთვი და აიგო ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ შემდგომი პოლიტიკა.

ე.წ. “ისლამური სახელმწიფო” ყველა მუსლიმს სთავაზობდა ცხოვრებას სრულიად ახალ, ისლამური შარიათის კანონებზე დაფუძნებულ სახელმწიფოში, რომელსაც შარიათის კანონების შესაბამისად არჩეული ხალიფა მართავდა. ხალიფას არჩევას უდიდესი იდეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჭეშმარიტი ისლამური სახელმწიფო წარმოუდგენელია ხალიფას ანუ მართლმორწმუნეთა მბრძანებლის გარეშე. ალ-კაიდასგან განსხვავებით, ე.წ. “ისლამური სახელმწიფო” მუსლიმებს ოჯახებიანად გადმოსახლებას სთავაზობდა და მათი ცოდნის გამოყენებას ახალი სახელმწიფოს ინსტიტუციების მშენებლობისთვისა და ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის, რის სამაგიეროდ გარკვეულ გასამრჯელოსაც სთავაზობდა. ამ მოწოდებას მრავალი მუსლიმი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან გამოეხმაურა. დაიწყო აქტიური პროპაგანდა, რომლის მიზანიც იყო ისლამური სახელმწიფოს რომანტიზირება. მისი წევრები აქტიურად იყენებდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და ინტერნეტ სივრცეს თავისი პროპაგანდის წარმოების მიზნით. აქტიურად ვრცელდებოდა მოწოდებები, რომ მხოლოდ „ისლამურ სახელმწიფოში“ შეეძლო მუსლიმს ჭეშმარიტი ისლამის გზით ეცხოვრა.

ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ დოქტრინაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საღვთო ომს - ჯიჰადს, რაც „სახალიფოს“ გაგებით, მოწინააღმდეგესთან უშუალო დაპირისპირებას, მათ შორის „ჰიბრიდული ომის“ ელემენტებს გულისხმობს. სახალიფოს გამოცხადებისთანავე მოწოდებები ვრცელდებოდა, რომ ყველა მუსლიმი ვალდებულია, როგორც შეუძლია ისე, ჩაერთოს ურწმუნოების წინააღმდეგ ჯიჰადში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ე.წ. „ჯიჰად ალ-კალამ“ (კალმის ჯიჰადი), რაც ე.წ. “ისლამური სახელმწიფოს” იდეოლოგიის პროპაგანდას გულისხმობდა, „ჯიჰად ალ-მალ“ (ფულის ჯიჰადი), რაც დაფინანსებას გულისხმობდა და, რა თქმა უნდა, „ჯიჰად ას-საიფ“ (ხმლის ჯიჰადი), რაც უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში ჩართულობას ნიშნავდა. კონცეფციის თანახმად, ე.წ. „ხმლის ჯიჰადში“ ჩართვისთვის, არ არის აუცილებელი საბრძოლო მოქმედებების რეგიონში ჩასვლა, თავდასხმების განხორციელება შესაძლებელია დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, ნებისმიერი ხელთარსებული საშუალების გამოყენებით, მათ შორის ცივი იარაღით, საწამლავითა თუ ავტომობილით. აღნიშნული მიდგომის შედეგად ბევრი „მარტოხელა მგელი“ გაჩნდა, რომლებიც გადიოდნენ ონლაინ ინსტრუქტაჟს და ტეროსორისტულ აქტებს საკუთარი ბაზირების ქვეყნებში ახორციელებდნენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯიჰადში დაღუპული მუსლიმი ავტომატურად შაჰიდი ხდება და ადგილს უმაღლეს სასუფეველში ე.წ. „ჯანნათუ ლ-ფირდაუსში“ იმკვიდრებს (Quran, 23:11). ამ პროპაგანდის შედეგად, ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოს“ შეუერთდა მრავალი მუსლიმი, როგორც ადგილობრივი მოსახლეობიდან ასევე დასავლური ქვეყნებიდან, ასევე წარმოიქმნა ფარული ქსელები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც სახალიფოს მართვის ცენტრებიდან ონლაინ იმართებოდა.

აღნიშნულის პარალელურად, ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ უმკაცრეს პოლიტიკას ატარებდა იმათ მიმართ, ვინც ხალიფას წინაშე ფიცი არ დადო და სახალიფოს რიგებს არ შეუერთდა. ადგილობრივი და ძალოვნებისა და კოალიციური ძალების გარდა, სახალიფოს სამიზნეებს წარმოადგენდა ასევე მშვიდობიანი მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ისლამის სუნიტურ მიმდინარეობას არ აღიარებდა, მათ შორის ადგილობრივი ქრისტიანები, შიიტები და სხვა კონფესიების მიმდევრები (განსაკუთრებული სისასტიკე სახალიფოს წევრებმა გამოიჩინეს იეზიდების მიმართ) (Human Rights Council 2016). ასევე, სახალიფომ ურწმუნოებაში ამხილა სხვა ისლამისტურ-ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებმაც უარი განაცხადეს სახალიფოს რიგებში გაწევრიანებაზე მაგ. ალ-კაიდა, „მუსლიმები ძმები“, ჰამასი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ სახალიფოს პოპულარობა, სწორედ მისმა გლობალურმა პოლიტიკამ განაპირობა. განსხვავებით თალიბანის, ჰამასისა თუ კავკასიის საამიროსგან, სახალიფომ კატეგორიულად თქვა უარი ეროვნულ თუ რეგიონულ მიდგომებზე და არსებული სახელმწიფო საზღვრების მიღმა გავიდა, რაც პირდაპირ ეხმიანება მუჰამედისა და მართლ-

მორწმუნე ხალიფების დროინდელ სახალიფოს პოლიტიკას. ალ-ადნანიმ საკუთარ გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისლამის დამკვიდრების შედეგად, უარი ითქვა წარმომავლობაზე, ეროვნულობაზე, კანის ფერსა თუ სოციალურ სტატუსზე, ხოლო მუსლიმური თემი, ე.წ. „უმმა“ ყველა ამ მცნებაზე მაღლა დგას, რამაც მუსლიმებს სამართლიანობა და სხვა ხალხებზე უპირატესობა მოუტანა. მისი თქმით, სახალიფოს გამოცხადებით ღმერთმა მის რჩეულ ხალხს პირობა შეუსრულა და აღდგა ჭეშმარიტი ისლამური სახელმწიფო და ლეგიტიმური ლიდერი - ხალიფა.

მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად, „ისლამურ სახელმწიფოს“ მრავალი ოპონენტი გამოუჩნდა როგორც ისლამისტურ, ასევე ზომიერ მუსლიმურ წრეებში. სახალიფო გააკრიტიკეს როგორც სხვა ტერორისტული ორგანიზაციების სწავლულებმა, ასევე ისლამური ცენტრების ღვთისმეტყველებმა და დაადანაშაულეს ისლამისგან განდგომილებასა და ე.წ. ფითნას - შუღლის - ჩამოგდებაში.

ერაყელი ძალოვანი სტრუქტურებისა და საერთაშორისო კოალიციის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, 2016 წლის ბოლოს, ე.წ. „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაიწყო პოზიციების დათმობა. 2019 წლის გაზაფხულზე ე.წ. ბაღუზის ბრძოლის შედეგად კი საბოლოოდ დაკარგა ტერიტორიული კონტროლი ახლო აღმოსავლეთში. თუმცა მარცხის მიუხედავად, შეძლო გადაჯგუფება და ტაქტიკის შეცვლის ხარჯზე, ცივილიზებული სამყაროსთვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Ali, Faisal. 2019. “The End of the Caliphate and the Battle to Lead the Muslim World.” https://fromadic92.medium.com/the-end-of-the-caliphate-and-the-battle-to-lead-the-muslim-world-cd4e34dd414f. Accessed 20.09.2022.

Bunzel, Cole. 2015. *From Paper State to Caliphate: The Ideology of the Islamic State*. Analysis Paper, No. 19, March. The Brookings Project on U.S. Relations with the Islamic World, Center for Middle East Policy.

Cook, Michael. 2015. “Muhammad’s Deputies in Medina.” *Al-‘Usur al-Wusta: The Journal of Middle East Medievalists*, 3 (2015): 1-67.

Crone, Patricia, and Martin Hinds. 1986. *God’s Caliph: Religious Authority in the First Centuries of Islam.* Cambridge: Cambridge University Press.

Crone, Patricia. 2005. *God’s Rule - Government and Islam: Six Centuries of Medieval Islamic Political Thought.* New York: Columbia University Press.

Gossman, Lionel. 2013. *The Passion of Max von Oppenheim: Archaeology and Intrigue in the Middle East from Wilhelm II to Hitler*. United Kingdom and the United States: Open Book Publishers.

Human Rights Council. 2016. *“They Came to Destroy”: ISIS Crimes Against the Yazidis.* Advance Version, June 15, 2016. Thirty-second Session, Agenda Item 4. https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/HRBodies/HRCouncil/CoISyria/A_HRC_32_CRP.2_en.pdf. Accessed 01.09.2022.

Kennedy, Hugh. 2016. *Caliphate: The History of an Idea*. New York: Basic Books.

Levy, Michael. 2010. *Islamic History.* New York: Rosan Educational Service.

Lewis, Bernard. 1998. “License to Kill: Usama bin Laden’s Declaration of Jihad.” *Foreign Affairs*, November/December 1998. https://www.foreignaffairs.com/articles/saudi-arabia/1998-11-01/license-kill-usama-bin-ladins-declaration-jihad. Accessed 01.10.2022.

Orton, Kyle. 2014. "ISIS Announces the Restoration of the Caliphate." June 29, 2014. https://kyleorton.co.uk/2014/06/29/isis-announces-the-restoration-of-the-caliphate/. Accessed 10.09.2022.

Quran. https://quranonline.net/al-muminun/. Accessed 01.09.2022.

Sekaly, Achille. 1926. *Le Congrès du Khalifat (Le Caire, 13-19 mai 1926) et Le Congrès du Monde Musulman (La Mekke, 7 juin - 5 juillet 1926).* Paris: E. Leroux.

The White House. 2001. "Remarks by the President Upon Arrival." The South Lawn, September 16, 2001. https://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2001/09/20010916-2.html. Accessed 09.08.2022.

Tierney, Dominic. 2016. "The Twenty Years' War." *The Atlantic,* August 23, 2016. https://www.theatlantic.com/international/archive/2016/08/twenty-years-war/496736/. Accessed 20.09.2022.

Zelin, Aaron Y. 2014. "Al-Furqan Media Presents a New Audio Message from the Islamic State's Shaykh Abu Muhammad al'Adnani al-Shami: "This is the Promise of God." *Jihadology*, June 29, 2014. https://jihadology.net/2014/06/29/al-furqan-media-presents-a-new-audio-message-from-the-islamic-states-shaykh-abu-mu%e1%b8%a5ammad-al-adnani-al-shami-this-is-the-promise-of-god/. Accessed 19.09.2022.